



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 3

ქ. გარდაბანი

31/01/2023

3-06-4-202301311730



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული 77.28 კვ.მ. ფართის (ს/კ №81.10.10.400.01.501) ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარის უფლებით გადაცემის, საწყისი საიჯარო ქირისა და უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს, ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 24 იანვრის №18-1823024133 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

1. მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული 77.28 კვ.მ. ფართის (ს/კ №81.10.10.400.01.501), იჯარის უფლებით გადაცემის მიზნით, ელექტრონული აუქციონის გამოცხადებაზე.

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული 77.28 კვ.მ. ფართის (ს/კ №81.10.10.400.01.501), საწყისი საიჯარო ქირის საფასური განისაზღვროს 9600 (ცხრა ათას ექვსასი) ლარით, ხოლო საიჯარო ვადა განისაზღვროს 10 (ათი) წლით.

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული 77.28 კვ.მ. ფართის (ს/კ №81.10.10.400.01.501), უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზე-ს ოდენობა განისაზღვროს საიჯარო ქონების ყოველწლიური საიჯარო საფასურის 10%-ით, ხოლო ბიჯის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საიჯარო საფასურის 10%-ით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

